უძველესი რელიგიური (ქრისტიანული თუ წარმართული) რიტუალური ლექსიკური ერთეულებისათვის სვანურში. I.[1]

ავტორი: მედეა საღლიანი
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8.
ელფოსტა: medeasagliani@yahoo.com

ანოტაცია

წეს-ჩვეულებებს შორის სვანეთში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომელიმე ღვთაებისა თუ წმინდანის სახელზე მიწის შეწირვის წესს. ამ შეწირული (საეკლესიო თუ სახატო) მიწების შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ 1939 წელს ვ. ბარდაველიძე გვაწვდიდა. მისი ცნობით, „**ლალცხუ̆ტ**"-ი ეწოდებოდა პატარა საყანე მიწის ნაკვეთს, რომელსაც ოჯახი სხვადასხვა სახის უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ჩამოჭრიდა და შესწირავდა რომელიმე წმინდანის სახელზე. ვ. ბარდაველიძის შემდეგ არაერთმა მეცნიერმა (დ. ფირცხელანი, ჯ. ონიანი, რ. გუჯეჯიანი...) გაამახვილა ყურადღება სვანურ „**ლალცხატებ**"-ზე და ბევრი საინტერესო მოსაზრებაც გამოითქვა, თუმცა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკრალური ტერმინის ეტიმოლოგიური ანალიზი დღემდე არ გაკეთებულა.

საკვანძო სიტყვები: სემანტიკა, ლექსიკა, ეტიმოლოგია

---

[1] ნაშრომი მომზადდა 2023 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის _ „**სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები**" ფარგლებში.